ვამტკიცებ:
შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის
აკადემიის დირექტორი: ნესტანი აბსავა
ბრძანება №01/05. 24.04.2017 წელი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია

წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

ზუგდიდი.
2017 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიის (შემდგომში აკადემია) წესრიგის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურას.

მუხლი 2. დაცვის სამსახურის ფუნქციები

1. სამსახურის ძირითადი ამოცანაა აკადემიის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგისა და კუთვნილი მატერიალური ქონების დაცვა, აგრეთვე სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2. სამსახური ვალდებულია:

ა) სამსახურში გამოცხადებისთანავე დაათვალიეროს კორპუსი, შეამოწმოს საკეტები, განათება, სატელეფონო კავშირი, მოახდინოს კორპუსის გარე დათავლიერება და ნებისმიერი დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს დირექტორს.

ბ) კარგად იცოდეს შენობაში კაბინეტებისა და აუდიტორიების განლაგება და თავისებურებანი. დაიცვას შენობაში არსებული ქონება დაზიანებისაგან, გაძარცვისაგან და ხანძრისაგან;

გ) აღკვეთოს აკადემიის შრომის შინაგანაწესის ნებისმიერი დარღვევა, აგრეთვე ალკოჰოლური სასმელების შემოტანა კორპუსში, თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები, არ დაუშვას შენობაში რაიმე ინვენტარის ან ნივთის შემოტანა-გატანა ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე;

დ) აკადემიაში ძირითადი და სათადარიგო გასასვლელები არ უნდა იქნეს ჩახერგილი სხვადასხვა სახეობის ინვენტარითა და მაკულატურით;

ე) სახანძრო ცეცხლმაქრები უნდა იყოს მუდმივად გამართულ მდგომარეობაში, სხვენში ასასვლელი ლუქები უნდა იყოს დაკეტილი;

ვ) აკადემიის ტერიტორიაზე ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს ადმინისტრაციას, სახანძრო სამსახურს;

ზ) ელექტრო მეურნეობა უნდა იყოს მუდმივად გამართულ მდგომარეობაში;

მუხლი3. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

3.1.ცეცხლის კერის დანახვისთანავე დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა ან შეეცადეთ ჩააქროთ ცეცხლი. საჭროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.

3.2. თუ გადაწყვეტთ არ დატოვოთ შენობა და თავად შეებრძოლოთ ცეცხლს მაშინ აუცილებელია დაიცვათ შემდეგი მოთხოვნები:

3.2.1. თუ თვლით, რომ ცეცხლთან გამკლავება ძნელი იქნება ცეცხლის ჩაქრობის <u>დაწყებამდე</u> აუცილებლად უნდა დარეკოთ სახანძროში;

3.2.2. უნდა იცოდეთ ცეცხლმაქრის გამოყენების წესები. თუ წესები არ იცით დაუყოვნებლივ დატოვეთ შენობა.

3.2.3. აუცილებლად უნდა შეამოწმოთ არის თუ არა ცეცხლმაქრი სავსე.

3.4. აკადემიის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის მოთხოვნის შემთხვევაში პერსონალი და პროფესიული სტუდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დატოვოს შენობა.
3.5. თუ ხანძრის დროს ვერ ახერხებთ შენობიდან გამოსვლას:

3.5.1. შედით ყველაზე უსაფრთხო ოთახში დაკეტეთ კარები და კარებთან დააფინეთ სველი ტილო ან სხვა ნაჭერი ისე, რომ მაქსიმალურად შეზღუდოთ ოთახში კვამლის შემოსვლა;
3.5.2. თუ თქვენსა და ცეცხლის კერას შორის არის ერთი ან რამდენიმე კარი, აუცილებლად დაკეტეთ
3.5.3. იყავით მზად იმისათვის, რომ მოვლენ თქვენს დასახმარებლად და ყური დაუგდეთ შესაბამის სიგნალს.
3.6.თუ კვამლმა შემოაღწია ოთახში, დაწექით იატაკზე, ისუნთქეთ მხოლოდ ცხვირით და სუნთქვისას აიფარეთ ცხვირსახოცი ან სხვა ნაჭერი.
3.7. თუ გადაწყვიტეთ გაიაროთ ცეცხლმოკიდებულ ტერიტორიაზე, აუცილებლად დაიფარეთ წინასწარ თავი და თმები, შეიკავეთ სუნთქვა და იმოძრავეთ შეძლებისდაგვარად სწრაფად. მოძრაობისას ეცადეთ მაქსიმალურად დახუჭოთ თვალები.

3.8.შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტები აუცილებლად უნდა გავიდნენ ყველაზე უსაფრთხო ოთახში და დაელოდონ დახმარებას ან დახმარება სთხოვონ ადმინისტრაციულ პერსონალს.

3.9. თუ ნახავთ, რომ შენობა ევაკუირებულია ან იქ იმყოფება მხოლოდ ადმინისტრაციული პერსონალი სასწრაფოდ დატოვეთ შენობა. საჭიროების შემთხვევაში ისარგებლეთ საევაკუაციო გასასვლელით.

8.<u>ცეცხლმაქრის გამოყენების ინსტრუქცია</u>



მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. ამ წესის გაუქმება, მასში ცვლილებების ანდა დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის ბრძანებით.

112

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ზუგდიდი 28 ივლისი 2020 წელი

ერთის მხრივ, შ.პ.ს საზოგადოებრივი კოლეჯი „ზუგდიდის აკადემია“ დირექტორი ნესტან აბსავა (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, ი.მ. „გენად ფიფია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულებას კისრულობს მიაწოდოს და გადასცეს საკუთრებაში შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული „შესყიდვის ობიექტი“, ხოლო „შემსყიდველი“ ვალდებულებას კისრულობს მიიღოს და აუნაზღაუროს „შესყიდვის ობიექტის“, ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
1.2. ხელშეკრულების საგანია საბიუჯეტო სახსრებით მიღებული, „შემსყიდველის“ მიერ „მიმწოდებლისაგან დანართში მოცემული რაოდენობითა და ფასებით შემდგომი („შესყიდვის ობიექტი“) შესყიდვა C P V კოდი:35100000-(საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები. 2 ცალი ცეცხლმაქრის გადატუმბვა. 2 ცალი საევაკუაციო გეგმა-ნახაზის შედგენა და 3 ცალი სახანძრო დეტექტორის მონტაჟი. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მომსახურეობის ღირებულება შეადგენს: 545 (ხუთას ორმოცდახუთი) ლარი

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1. „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურეობა

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურეობა ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელება უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.2. ანგარიშსწორებას „შემსყიდველი“ განახორციელებს ფაქტიურად მიღებული საქონლის მიხედვით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის გამნავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია;

6.1.1. უზრუნველყოს მიღებული საქონლის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის“ წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;
6.1.2. გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

6.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია;

6.2.1. „მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს საქონლის მოწოდება ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და განსაზღვრულ ვადაში;
6.2.2. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება;
6.2.3. დაუბრკოლებლივ განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ მიღებული საქონლის ხარისხის შემოწმება;
6.2.4. „მიმწოდებლისგან“ მოითხოვონ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია;

6.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით საქონლის მოწოდება.
6.3.2. „შემსყიდველს“ წარუდგინოს მიღებული საქონლის დაკავშირებით ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტები. დაუყონებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დავრკოლებათა შესახებ;
6.3.3. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

6.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია;

6.4.1. „შემსყიდველისაგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

7. უფლებების გადაცემა

7.1. „მიმწოდებელს“ არა აქვს უფლება „შემსყიდველს“ წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. შეტყობინება

9.1. ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.
9.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ, ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყონებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
10.2. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ხელშეკრულებით დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 3%-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.
11.2. საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის მომენტიდან 10 (ათი) სამუსაო დღის ვადაში.
11.3. საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეულ პირობების მოქმედება.
12.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი:
12.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.4. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის ულების მოთხოვნის გარეშე.
13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების მოთხოვნებიდან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონრტოლის და ზედამხედველობის, მიღება-ჩაბარების აქტზე გაფორმების შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.
15.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დარღვევის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მომწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

16. დასკვნითი დებულებანი

16.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
16.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
16.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
16.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადსტურება.
16.5. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.
16.6. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

16.7. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“ ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“

15. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

„ზუგდიდის აკადემია“
ს/კ: 420002026
ტელ: 577778516

ხელმოწერა:

„მიმწოდებელი“

ი.მეწარმე „გენად ფიფია“
ს/კ: 19001007284
ტელ:555391679
საბანკო რეკვიზიტები:
„თიბისი ბანკი“ ზ/გ
ბანკის კოდი:TBGBGE22
კოდი№GE30TB7451145068100006

ხელმოწერა:

დანართი:

№	საქონლის ჩამონათვალი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ თანხა
1.	ცეცხლმაქრის გადატუმბვა	2	50	100
2.	საევაკუაციო გეგმა-ნახაზის შედენა	2	80	160
3.	სახანძრო დეტექტორების შედენა	3	95	285
ჯამი:				545

1. ხელმოწერა:

2. ხელმოწერა:

მიღება-ჩაბარების აქტი

28 ივლისი 2020 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ,შ.პ.ს საზოგადოებრივი კოლეჯი „ზუგდიდის აკადემია“ დირექტორი ნესტან აბსავა და მეორე მხრივ ი.მეწარმე „გენად ფიფია“ ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს, რომ დაწესებულებამ გადატუმბა 2 ცალი ცეცხლმაქრი,შეიძინა 3 ცალი სახანძრო დეტექტორი და 2 ცალი საევაკუაციო გეგმა-ნახაზი. რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 545 (ხუთას ორმოცდახუთი) ლარს.

შესრულებული სამუშაოს ხარისხზე მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

1.პირველი მხარე:

დირექტორი : ნ. აბსავა / ნ. აბსავა /

2.მეორე მხარე: ი.მეწარმე: „გენად ფიფია“ / გ. ფიფია /